ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1831015

ნომერი: AR1299207

თარიღი : 02.04.2015

გაცემის თარიღი : 14.04.2015

გაცნობის თარიღი : 14.04.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკაკი წერეთელი , N 142 ; ქალაქი თბილისი , გამზირი აკაკი წერეთელი , N 142 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილი თეთრუაშვილი პ/ნ 01017025686
- თბილისი ძმ.ზუბალაშვილების ქ. N 44

ორგანიზაცია:

- შპს იმპერვეტი კოდი: 202384115

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი კორექტირება
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

ვინაიდან წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ირკვევა რომ სარეკლამო აბრის მოწყობა არ არის კავშირში №1412390 ელექტრონული გადაწყვეტილებით გაცემული კიბის მონტაჟთან, პირველ რიგში საჭიროა ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით და აირჩიოთ შემდეგი ნომენკლატურა: "აბრებისა და რეკლამების განთავსება", ქმედება – ახალი მშენებლობა (კორექტირების გარეშე), ასევე ყველა ის ნომენკლატურა რა სახის სამუშაოების ჩატარებაცაა დაგეგმილი.
გარდა ამისა როგორც წარმოდგენილი ფორტომონტაჟით ირკვევა გარდა სარეკლამო აბრისა დაგეგმილია შენობის ფასადის მოპირკეთება, ასევე გამწვანების მოწყობა. შესაბამისად საჭიროა პირველ რიგში ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ ვრცლად განიმარტოს მოთხოვნის ტექსტში. ასევე ველში "ფაილის მიმაგრება" აიტვირთოს საკადასტრო გეგმა ყველა სარეკონსტრუქციო არეალის, მათ შორის სარეკლამო აბრის განთავსების ჩვენებით . ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში თუ სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაგეგმილია საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეტისა და შენობის ტერიტორიაზე, წარმოსადგენი იქნება ყველა მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა (ნოტარიულად დამოწმებული), ხოლო იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული სამუშაოების წარმოება დაგეგმილია დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.